ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 124

"3" ოქტომბერი 2014 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, მონადირის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ანტონ II სახელის მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის პ/ქვეპუნქტის და „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2011 წლის 27 მაისის №6-27 გადაწყვეტილებისა და "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ.თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის №6-17 გადაწყვეტილების პირველი პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის დამტკიცებული დანართი №2-ის შესაბამისად ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) ნაძალადევის რაიონში, მონადირის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს კათალიკოსის, ანტონ II სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ ორი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ალიბეგაშვილი**

X_486014.484
Y_ 4624770.2612
X_485891.2038
Y_ 4624736.9553
ანტონ II-ის ქუჩა